საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეგიონერი

გაზეთი გამოდის 1988 წლიდან | №17 (6656) | 9 მაისი შაბათი 1995 წელი | რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 მაისი—ფაშიზმზე გამარჯვების 50 წელი

კაცობრიობის ისტორიაში არის თარიღები, რომლებიც არასოდეს დავიწყებას არ მიეცემა, ყველა ქვეყანის ნების ადამიანში იწვევს ნათელ მოგონებებს, ღრმა პატრიოტულ გრძნობებს, უფრო მკვეთრად უსვამენ ხაზს მომავლის—ათვის ყველას პასუხისმგებლობას. რომ კვლავ არ განმეორდეს იგი. ასეთ ისტორიულ თარიღთა შორის ერთ—ერთი პირველი ადგილი უკავია ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულს.

50 წელი გავიდა გამარჯვების დღიდან, რაც უფრო ვშორდებით ამ თარიღს, მით უფრო ნათლად წარმოგვიდგება ამ გამარჯვების სიდიადე და ისტორიული მნიშვნელობა.

უკანასკნელ ათწლეულში ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში, დაინგრა საბჭოთა იმპერია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დაადგნენ განვითარების ახალ გზას, მოიშალა გერმანიის ორად გამყოფი ბერლინის კედელი და სხვა. მაგრამ დავიწყებას როდი მიეცა ფაშიზმის საფრთხე, მის წინააღმდეგ მებრძოლი მილიონობით ადამიანის მამაცობა და თავგანწირვა.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია, რომელსაც იმ დროისათვის თითქმის მთელი ევროპა ჰქონდა დაპყრობილი, ვერაგულად დაესხა თავს სსრ კავშირს.

1418 დღესა და ღამეს განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ბრძოლები ფრონტებზე თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე, მოსკოვის მისადგომები... სტალინგრადის მიწა... კავკასიის მთის წინეთი... კურსკის ქარ—ცეცხლიანი რკალი... ბერლინის საბოლოო ოპერაცია. აი, ლეგენდარული და ძლევამოსილი მიჯნები, სადაც დაიმსხვრა ფაშისტური სამხედრო მანქანა.

როცა დამარცხებული ბერლინის თავზე მაისის მზის სხივებში აღმართეს რუსმა ეკოროვმა და ქართველმა ქანთარიამ გამარჯვების დროშა, ეს იყო მეორე მსოფლიო ომის დასასრული, ფაშიზმის საბოლოო კრახი.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულა პარტიზანულმა მოძრაობამ, რომელმაც უაღრესად დიდი მასშტაბი მიიღო და მასობრივი გახდა. პარტიზანებმა მტრის ზურგში ათეულ—ათასობით ფაშისტი მო—

დრო ვერ წაშლის

სპეს, გაანადგურეს დიდძალი საბრძოლო ტექნიკა, სასურსათო პროდუქტები თუ სხვა მატერიალური საშუალებები.

საბჭოთა კავშირის ხალხების მხარდამხარ ომის ფრონტზე გმირულად იბრძოდნენ ქართველი მეომრები. საქართველომ ომში გაგზავნა 700 ათასი საუკეთესო შვილი. აქედან ორ დენებითა და მედლებით დაჯილდოვდა 80 ათასი მეომარი.

საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად ფაშიზმის განადგურების საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენი რაიონის მშრომელებმა. მთელი ომის პერიოდში მათ მთელი თავიანთი საქმიანობა მტრის განადგურების საქმეს დაუქვემდებარეს. რაიონიდან ომის ფრონტებზე გაგზავნილ იქნა 7000—მდე მებრძოლი. აქედან ნახევარზე მეტი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას.

რაიონის სახელოვანი შვილები მამაცურად იბრძოდნენ ომში. პარტიზანულ რაზმებში, მონაწილეობდნენ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში, ვიჩვენეს არნახული გმირობის, მამაცობისა და თავდადების მაგალითები.

დივიზიებსა და პოლკებს ხელმძღვანელობდნენ ჩვენი თანამემამულენი გენერალ—მაიორი გიორგი ყურაშვილი, პოლკოვნიკები გრიგოლ კანაჩაძე, კოტე მამარდაშვილი. ომის ფრონტებზე თავი ისახელეს ლეჩხუმელმა მეომრებმა ვარლამ დაშნიანმა, სერგო სილაგაძემ, ვლასი თვარაძემ, აკაკი მურკვალაძემ შოთა მუშკუდიანმა მფრინავებმა ამბაკო გოლეთიანმა, აკაკი ასლანიკაშვილმა, ექიმებმა ივოდი ნემსაძემ, ილარიონ ჩიქოვანმა, თეოფანე, გიორგი ყურაშვილებმა, პარტიზანებმა შალვა გოგებაშვილმა, იორამ ჩაკვეტაძემ, ალიოშა ჩაჩხიანმა და სხვებმა.

ფაშისტური გერმანიის იანადგურების საქმეში მამაცების მხარდამხარ აქტიურად იბრძოდნენ ლეჩხუმელი ქალები: კომისარი მარიამ მუშკუდიანი, დოდო ახვლედიანი, თამარ დარსაძე, ჟენია მამარდაშვილი, კლარა ჩაჩხიანი და სხვანი.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 50 წლისთავი აღინიშნება, როგორც მსოფლიო პროგრესული ძალების ინტერნაციონალური დღესასწაული.

დღეს როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე რაიონში განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით არიან მოსილი ომის ინვალიდები და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები, რაზეც მეტყველებს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის პენსიების გაორმაგების და ერთდროული ფულადი დახმარებების მიცემის და სხვა ღონისძიებათა შესახებ.

ხუთი ათეული წელი გავიდა გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვებიდან, დრო ვერ წაშლის იმ მამაცობასა და გმირობას, რაც ყველა ქვეყნის ადამიანებმა გამოიჩინეს მეორე მსოფლიო ომის ღირსეულად დამთავრებისათვის.

პოეტი ომის მსხვერპლი

*

სევერიან ისიანი

მოულოდნელი ჭრილობა

იმ ცისმარე დილასაც ხალისით ამდგარიყვნენ ლეთოდიანები. გულგამბალ მიწას საამო ოხშივარი ასდიოდა, თოთო ყანას პირაწყობილი თოხებით ჩასდგომოდა 4 ძმა და ღიღინით ადიოდა სვრელს.

შეკივლებაზე შეშფოთდნენ ბიჭები.

რა იყო რა ამბავია, დედა!

ომი, ომი, ლუღლუღებდა იქვე ჩაკეცილი დედა...

წავიდა აბესალომი, ალიონი არ შემოსულიყო, მძინარე ძმები დაკოცნა და წავიდა...

მალე გრიგოლიც გამოიძახეს, გრიგოლს კოლია მიჰყვა, კოლიას სიმონი, დაიცალა სახლი, შარვლიანები წავიდნენ, ცრემლმა, შიშმა მოლოდინმა, დაისადგურა ოჯახში.

აბესალომ ლეთოდიანი უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება. იგი ჩუდნოვის რაიონის სოფელ ტროშჩასთან დაიღუპა. კოლ—შვილმა არაფერი იცოდა მის შესახებ აგერ 60—იან წლებში იქაურმა წითელკვალმაძიებლებმა იპოვეს მისი საფლავი. ტროშჩა და ქვედაცაგერი დამეგობრდნენ, აბესალომის ვაში და დედამიშვილები ეწვივნენ მეომრის საფლავს. საფლავში შეატოკა ვაშკაცი მშობელი მიწის სურნელმა და მისიანთა მდუღარე ცრემლმა.

ვეება ბიჭი იყო კოლია, ლამაზი ბიჭი. კოლ—შვილი კოტა ხანს სულდგმულობდა მისგან მოწერილი იმედიანი წერილებით. მერე წერილებიც შეწყდა, ოჯახში დარჩა ქვრივი თამარი, რომელიც დღესაც ენერგიულად უძღვება კერასა და შვილებს.

გრიგოლი უკოლშვილო იყო. ფრონტზე წასვლის წინა დღეს გაუჩინარებულა ბიჭი, ალბათ გულისწორს დაუტოვაო იმედი და სიყვარულის ღიმილი. სევასტოპოლის დამცველთა რიგებში იბრძოდა. 1943 წლის შემდეგ მის შესახებაც არაფერი იციან ახლობლებმა.

სიმონიც ძმების გზას გაჰყვა, ეკლიან გზას. მხოლოდ იგი დაბრუნდა ომიდან თავში დაჭრილი, ვეღარ გაუძლო ამ ჭრილობას და სახლში გარდაიცვალა.

დღეს 9 მაისია გამარჯვების დღე. ეს დღე უდიდესი ტკივილია იმათთვის, ვინც მსხვერპლი გაიღო. ასეა ლეთოდიანების დიდ ოჯახში. მოუშუშებელი ყოფილა ომის ჭრილობა.

ვარშავის მოქალაქე

60—იანი წლების ბოლოს ლაჯანაში შალვა კიმოთეს ძე გოგებაშვილს ეწვია პოლონელი სტუმარი—პოლონეთის ცენტრალური გაზეთის «ჟიტია ვარშავსკის» სპეციალური კორესპონდენტი, ჟურნალისტი ლეშკ ვირკიჩი, რომელმაც შალვას გადასცა ქ. ვარშავის გასაღები ნიშანი იმისა, რომ შ. გოგებაშვილი არჩეულია ვარშავის საპატიო მოქალაქედ. გვქონდა ბედნიერება ამ ცერემონიალს დავსწრებოდით ჩვენც. რაიონული გაზეთის რედაქციის მუშაკებიც, სადაც თარჯიმნობას თვით შალვა გვიწევდა. მას შემდეგ შალვას თითქმის ყოველწლიურად იწვევდნენ გამარჯვების დღესასწაულზე პოლონეთში და ისიც ხალისით მიემგზავრებოდა.

რით დაიმსახურა შალვამ ასეთი პატივი?

შალვა გოგებაშვილი სრულიად ახალგაზრდა გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. მან პირველი საბრძოლო ნათლობა ქერჩის ნახევარკუნძულზე მიიღო 1942 წლის იანვარში. იგი მზვერავთა ასეულში ირიცხებოდა. ორი თვის მანძილზე მან 22—ჯერ მიიღო მონაწილეობა ღამის დაზვერვაში.

ერთ—ერთი ბრძოლის დროს შ. გოგებაშვილი მძიმედ დაიჭრა ნაღმის ნამსხვრევით, როცა გონს მოვიდა, მიხვდა, რომ ჰიტლერელთა ხელში იყო.

ნოვგოროდ—ვოლინსკის ტყვეთა ბანაკში შალვას ჭრილობა მოუშუშდა და გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ბანაკიდან გაქცეულიყო. მაგრამ იქ მიზანს ვერ მიაღწია. 1943 წლის აგვისტოში, კავკასიელი ტყვეები პოლონეთის სოფელ ოდოხოვეცში მიიყვანეს. რკინიგზის ხაზის გაყვანაზე ამუშავებდნენ. შალვა აქ ერთ ადგილობრივ მცხოვრებს დაუახლოვდა. მისი დახმარებით შალვამ და მისმა 12 ამხანაგმა მოახერხეს გაქცევა და ტყეს შეაფარეს თავი. სადაც პოლონელი პარტიზანები იგულებოდათ.

ასე მოხვდნენ შალვა და მისი ამხანაგები «ოსკას» პარტიზანულ რაზმში სადაც პოლონელ პარტიზანებთან ერთად რამდენიმე საბრძოლო ოპერაციაში მიიღეს მონაწილეობა.

1944 წლის მაისში კი შალვა და მისი ამხანაგები დაუკავშირდნენ პოლონეთის ტერიტორიაზე მოქმედ საბჭოთა პარტიზანულ რაზმს და მის შემადგენლობაში გადავიდნენ, პატარა პარტიზანული ჯგუფი მძლავრ პარტიზანულ შენაერთად გადაიქცა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბრძოლებში ნაწრთობი საბჭოთა მეთაური ივანე თეოდორეს ძე ზოლოტარი. ამ შენაერთმა ბევრი სახელოვანი ბრძოლა გადაიხადა, დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა ფაშისტებს, ასეულობით ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო.

მის საბრძოლო გზაზე ბევრი დაიწერა და მომავალშიც დაიწერება.

ფაშიზმისაგან პოლონელი ხალხის განთავისუფლებაში შეტანილი წვლილისათვის პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობამ მამაცი პარტიზანი შალვა გოგებაშვილი პარტიზანული ჯვარით დაჯილდოვა.

1945 წლის ოქტომბერში შალვა გოგებაშვილი დემობილიზებული იქნა საბჭოთა არმიის რიგებიდან, დაუბრუნდა თავის მშობლიურ სოფელ ლაჯანას, დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, მიიღო მეღვინე—ტექნოლოგის სპეციალობა. წლების მანძილზე მუშაობდა ოყურეშის, ტვიშის და ორბელის ღვინის ქარხნებში მთავარ ტექნოლოგად, სადაც კი იმუშავა, ყველგან მაღალი ავტორიტეტით და სახელით სარგებლობდა. დღეს შალვა დამსახურებულ პენსიაზეა. ყავს შვილები და შვილიშვილები. შალვა თავისი განვლილი გზით კმაყოფილი იყო, რომ ცხოვრებას კვლავ არ მიეყენებინა ტრამვა, უდროოდ დაეღუპა მეუღლე.

ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავს გილოცავთ ბატონო შალვა, მრავალ გამარჯვების დღესასწაულს დასწრებოდეთ.

ნ. ნემსაძე.

მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე იბრძოდნენ

ვასილ ჭაბუკიანი



ფაშისტურ გერმანიასთან სამკვდრო — სასიცოცხლო ომში 1941 წლის 22 ივნისიდან აქტიური მონაწილეობა მიიღო დეხვირელმა ვასილ ივანეს ძე ჭაბუკიანმა. 1943 წელს ერთ—ერთი ბოძოლის დროს იგი მძიმედ დაიჭრა. შემდეგ დემობილიზებული იქნა.

სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ვასილ ჭაბუკიანმა შეწყვეტილი პედაგოგიური მუშაობა გააგრძელა და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დეხვირის სკოლაში მოსწავლეებს ფიზიკა—მათემატიკას ასწავლიდა.

გალაქტიონ საღინაძე



გალაქტიონ ლავრენტის ძე საღინაძემ 1941 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და მაშინვე წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. იბრძოდა ჩრდილო კავკასიაში 414 ქართული მსროლელ დივიზიაში.

1943 წელს ფრონტზე მიღებული მძიმე ჭრილობებით დემობილიზებულ იქნა.

ომის შემდგომ დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა პედაგოგად, პარტიულ—საბჭოთა, პროფკავშირულ სამუშაოზე. უველგან ღირსეულად მოიხადა მოქალაქის ვალი. მისი როგორც პატიოსანი, ენერგიული, საქმიანი მუშაკის სახელი ყოველთვის დარჩება მისი მეგობრების და მახლობლების გულში.

ზურგი ფრონტს ამაგრებდა...

ხანგრძლივი და მკაცრი გამოდგა ჩვენი ქვეყნისთვის ომის ოთხი წელიწადი. ძნელი იყო გამარჯვებამდე გზა, მაგრამ იყო ადამიანთა ისეთი გმირობა, რომლის ბადალი არ იცის ისტორიამ.

ამ ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა ლეჩხუმმა. ამ პატარა რაიონმა, რომლის მოსახლეობა ომის წინ 29 ათასს არ აღემატებოდა, ფრონტზე გაგზავნა 7000 მებრძოლი, აქედან ნახევარი ველარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას.

რაიონის მშრომელებმა მძიმე განსაცდელის შამს გამოავლინეს ორგანიზებულობა და დისციპლინა, გმირული შემართება.

ზურგის მშრომელები მხრუნველობას და ყურადღებას არ აკლებდნენ არმიას. თავდადებით შრომობდნენ მინდვრებსა და ფერმებში, უფრო და უფრო მეტი რაოდენობით აწვდიდნენ ფრონტს სურსათ—სანოვაგის. აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა იმ სახალხო პატრიოტულ წამოწყებაში, რომლის მიზანსაც არმიის განმტკიცება. მისი ყოველმხრივი მომარაგება შეადგენდა.

1941 წლის დამლეგის—ტანსაცმლის შეგროვება. დიასახლისები მთელი ღამეები კერავდნენ და ქსოვდნენ წითელი არმიის მამაცი მებრძოლებისათვის.

თუ 1940 წელს რაიონში იყო 8700 შრომის უნარიანი კოლმეურნე, ომის წლებში მათი რიცხვი ერთი სამად შემცირდა. ფრონტზე გაიწვიეს 6500 შრომის უნარიანი, დანაკლისი შეავსეს ქალებმა, მოხუცებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ. ომის პერიოდის ერთი კოლმეურნეობის მაგალითი ასეთია: ქვედა ცაგერის «პროგრესის» სახელობის კოლმეურნეობაში ომამდე 124 შრომისუნარიანი იყო. აქედან ომში წავიდა 88. ომამდე კოლმეურნეობაში თვის რაიონის კოლმეურნეობებსა და მუშა—მოსამსახურეების მიერ თავდაცვის სახალხო ფონდში შეტანილ იყო 93.000 მანეთზე მეტი, 154.420 მანეთის ობლიგაცია, 1800 გრამი ვერცხლი, 240 გრამი ოქრო. ამავე დროს დაიწყო სამშობლოს დამცველებისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება. დიასახლისები მთელი ღამეები კერავდნენ და ქსოვდნენ წითელი არმიის მამაცი მებრძოლებისათვის.

1940 წელს რაიონში იყო 8700 შრომის უნარიანი კოლმეურნე, ომის წლებში მათი რიცხვი ერთი სამად შემცირდა. ფრონტზე გაიწვიეს 6500 შრომის უნარიანი, დანაკლისი შეავსეს ქალებმა, მოხუცებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ. ომის პერიოდის ერთი კოლმეურნეობის მაგალითი ასეთია: ქვედა ცაგერის «პროგრესის» სახელობის კოლმეურნეობაში ომამდე 124 შრომისუნარიანი იყო. აქედან ომში წავიდა 88. ომამდე კოლმეურნეობაში მუშაობდა 10—12 ქალი. ომის წლებში კი სამუშაოდ გადიოდა 100—ზე მეტი ქალი, 30—მდე მოხუცი მამაკაცი, რომელთა ასაკი 60—დან 80—95 წელს შეადგენდა.

მიუხედავად მუშა ხელის სიმცირისა და ტექნიკის უკმარისობისა მარცვლეულის ნათესი არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. 1941 წელს დათესილი იყო 6860 ჰექტარი, ხოლო 1942 წელს 6930 ჰექტარი ანუ 70 ჰექტარით მეტი. ამაღლდა საჰექტარო მოსავლიანობა.

ტრადიციად იქცა საღელესასწაულო დღეებში საჩუქრების გაგზავნა მოქმედ არმიაში მყოფი საბჭოთა მეომრებისთვის. რევოლუციის 24—ე წლისთავთან დაკავშირებით წითელი არმიის მამაც მეომრებს ასობით ამანათი გაეგზავნა. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლაილაშის, ორბელის, ალპანის საშუალო სკოლების მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა, ისევ—დრელმა კოლმეურნეებმა სევერიან აკობიძემ, სარა, ქენია კუხალაშვილებმა, ლეო და თინა მამარდაშვილებმა კი სამშობლოს დამცველებს რამდენიმე ამანათი გაუგზავნეს.

1943 წლის 24 იანვარს გაზეთი „ბოლშევიკური ტემპით“ წერდა: „ერთ დღეში 39 ათასი მანეთი. ესკადრილიის მშენებლობისათვის საკუთარი დანაზოგი შეიტანეს ლეშკიდელმა ე. სილაგაძემ—2000 მანეთი, წილამიერელმა გ. მინდაძემ 1500 მანეთი, ორბელელმა დ. და ჰ. გვიშიანებმა —1000—1000 მანეთი, სულ ორბელის სასოფლო საბჭოს მცხოვრებლებმა ერთ დღეში 39.000 მანეთი შეაგროვეს.

«თუ წითელმა არმიამ შეძლო წარმატებით შეასრულებინა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და განდევნა გერმანელები საბჭოთა მიწა—წყლიდან, ფარგლებიდან და ბოლოს მოუღო თავის ბუნაგში, ეს მან იმის მეოხებით განახორციელა, რომ მას თავდადებით ეხმარებოდა ზურგიდან მთელი ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქე“. (ი. ბ. სტალინი დიდი სამამულო ომის შესახებ).

ხანგრძლივი და მკაცრი გამოდგა ჩვენი ხალხისთვის ომის ოთხი წელიწადი. ძნელი იყო გამარჯვებამდე გზა და აი, დადგა ნათელი მაისის დღე, როცა შეეძელით გვეთქვა: მართალმა საქმემ გაიმარჯვა, მტერი დამარცხებულია, ჩვენ გავიმარჯვეთ.

კ. ლეთოდიანი,
ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ—მუშაკი.

კონცერტი ვეტერანთა სასარგებლოდ

სარაიონო კულტურის სახლში კულტურის სახლის ძალებით გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი

კონცერტის შემოსავალი გადაერიცხა ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონულ საბჭოს.

ფიქრის კაცი

მასზე ლეგენდებს ყვებოდნენ, თუმცა არცა ვით იკვეხნიდა და არცა ჭკუით, არცა გმირთაგმირი იყო და არცა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე... ლეგენდებს ყვებოდნენ მის იგავმიუწვდომელ პატიოსნებაზე, პეტიოსნებასა და თავმდაბლობაზე. ეს თავმდაბლობა თუა მიზეზი იმისა, რომ დღეს ვეღარავინ გიამბობთ მისი საბრძოლო ბიოგრაფიისა და დამსახურების შესახებ. თვით ბატონმა ლევან ჩიქოვანმა, ლეჩხუმელი ფრონტელების საბრძოლო ცხოვრების მეტიანემ, ვერაფერი მითხრა დომენტი გოლეთიანის საომარ ბიოგრაფიაზე: როცა მასალებს ვაგროვებდი, სხვებთან ერთად მასაც ვთხოვეთ დაეწერა თავისი დახდენილი ბრძოლების შესახებ, მაგრამ ამაოდ. ეს მრავალჭირგამოვლილი, მძიმე ცხოვრება გამოვლილი ინტელიგენტი კაცი საჭიროდ არ ცნობდა თავის ღვაწლზე ელაპარაკა და ეწერა. დღეს მხოლოდ მის ქვრივს და ქალიშვილებს ახსოვთ ეპიზოდები სიტყვას მოყოლილი ფრონტული თავგადასავლებიდან.

ნაკურალეში დაიბადა და გაიზარდა, შვილმრავალ ოჯახში. მძიმე დრო იყო, მაგრამ სწავლის სურვილზე ხელი ვერაფერმა ააღებინა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსელი შეხვდა ომს. უნივერსიტეტიდან გაიწვიეს ფრონტზე. საიდანაც მძიმე ჭრილობით დაბრუნდა ომის დამთავრების შემდეგ. ყველაზე თურმე წითელი არმიის ყოფილი ოცმეთაური, მძიმედ დაჭრილს როგორ დაუპირეს მოკვლა თავისიანებმა, გერმანელებს რომ არ ჩავარდნოდა ხელში მოძრაობის უნარწართმეული. მისი გაყვანა ძნელი ყოფილა ცეცხლის ხაზიდან. მეთაურთა ტყვედ ჩავარდნა კი ცხადია, არასასურველი აქტი იყო სარდლობისათვის. სასწაულებრივად გადარჩა მაშინ, მერე სიკვდილამდე ახსოვდა მატლებდასეული ჭრილობა და დაჭრილებით გადავსებული ჰოსპიტლის კიბეებზე გატარებული სამი თოვლიანი ღამე. არაადამიანური ტკივილებით, სიკვდილ—სიცოცხლის მიჯნასთან დგომის საზარელი განცდითა და უამრავი აბამიანის მოსპობით აღბეჭდა ამ ომმა თავისი შემზარავი ქვალი კაცობრიობაზე. დე დამიწაზე კი დატოვა იარაღარქმნილი ქალაქები და სოფლები, დანგრეულ გაპარტახებული მეურნეობა და ომის გამჩაღებლებისადმი დაუფარავი სიძულვილი.

ომიდან დაბრუნების შემდეგ სწავლის გაგრძელებაზე იზრუნა, ისტორიკოსის დიპლომით ხელში გაუშვეს. იმ დღიდან სიკვდილამდე მასწავლებლობდა, პენსიაზე გასვლის შემდეგაც კი. უფრო ხშირად სკოლებს ხელმძღვანელობდა—ლეჩხუმში დაბრუნებული იყო ცხუკუშერის, ოყურეშის, ჩხუტელის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორი. მუშაობდა ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო ნაწილის დარგში, მისი ჩატარებული ისტორიის გაკვეთილები დღესაც ახსოვთ ყოფილ მოსწავლეებს. საოცარი თხრობა იცოდა, შტამპებს ერიდებოდა და მისი ყოველი გაკვეთილი განუმეორებელი იყო. მრავალი თაობა გამოზარდა ისტორიისადმი სიყვარულით. სიცოცხლის ბოლო წლებშიც, პენსიაზე გასვლის შემდეგ, არ მიუტოვებია გაკვეთილები. ახლა მისი სახლი იქცა სკოლად, სადაც მასწავლებლის ერუდიციითა და ინტელექტით მოჯადოებულნი კრძალვით მოდიოდნენ მშობლები და თავიანთ შვილებს აბარებდნენ დომენტი მასწავლებელს. არასოდეს უთქვამს უარი მათთვის. ეს ხომ მისი ტალანტის, პროფესიონალიზმის აღიარება იყო, არცა არასოდეს მოუთხოვია მათგან გასამრჯელო დიდი შრომის საფასად. არცა არასოდეს აუღია შეთავაზებული. ეს მაშინ, როცა ბევრი პედაგოგი დამატებითი შემოსავლის მოპოვებისა და ცხოვრების თუნდაც მცირედ გაუმჯობესებისთვის რეპეტიტორობას იწყებდა. ცხადია, არცა მას ულხინია, მის ცოლ—შვილსაც არ აწყენდა უფრო ადამიანური პირობები, მაგრამ დომენტი მასწავლებლის ზნეობრივ პრინციპებს არ ეთანხმებოდა გაკვეთილისთვის გასამრჯელოს მიღება.

და განა მარტო ეს. ამიტომაც ლეგენდებს ყვებიან დღეს (და მაშინაც) მის პატიოსნებაზე. მახსოვს მისი ხმელი ფიგურა, ინტელექტუალური და ფიქრიანი სახე, რომლის მკაცრი ნაკვთები არაფრით არ შეესაბამებოდა მის კეთილ და მართალ გულს. თუმცა მკაცრიც იყო—მკაცრი და შეურიგებელი უზნეობის მიმართ, ბუნებით კონსერვატორი ვერ იტანდა ტრადიციულად ჩამოყალიბებული სინდის—ნამუსის ჩარჩოების რღვევას. ბავშვი ვიყავ და მისი ყოველი გამოჩენა პატივისცემასა და მორიდებას იწვევდა ჩემში. სწორედ ისეთი გარეგნობა ჰქონდა, უნებურად რომ დაგაბრეკინებს თავს. როგორც ყველა კაცს, მასაც ჰქონდა აქილევსის ქუსლი—ეს მისი ჰობი იყო—ჭადრაკი. ხშირად გვსტუმრებია მხოლოდ ჭადრაკის სათამაშოდ. ითამაშებოდა ყველას, ვინც თამაშის სურვილს გამოთქვამდა. მისი ნაჩუქარი ჭადრაკის დაფა და ფიგურები ძვირფას რელიქვიად ითვლება ჩვენს ოჯახში.

...მასზე ლეგენდებს ჰყვებიან დღესაც.

ია ხმელიძე.

მოეფერნენ ეროვნული ომგადასვლელებს

5 მაისს ქალაქის ბიბლიოთეკებს მუშაკებმა შეხვედრა მოუწყვეს ომის ვეტერანებს. ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ვეტერანების პატივსაცემად მოსულიყვნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ყვავილები, მუსიკა საუცხოო ჰარმონიას ქმნიდა.

საღამოს უძღვებოდნენ მანანა გოგიძე და ნატო სილაგაძე. ვეტერანებს მიესალმა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ციცო სადილიანი.

კულტურის განყოფილების გამგის დავით სანთელაძის სადღეგრძელოები—ეს იყო მოფერება ვეტერანების, ეს იყო მათ მიერ განვლილი ომისა და შრომის გზის ერთხელ კიდევ დანახვა და დაფასება.

ვეტერანების სახელით გამოვიდნენ ლევან ჩიქოვანი, სარდიონ ფუტკარაძე, კოსტა სილაგაძე, შალვა ცვარიანი.

საღამოს ალამაზებდა სარბაიონო კულტურის სახლის ძალებით შესრულებული სიმღერები.

საოცრად თბილი საღამო იყო, მის ორგანიზატორებს მადლობა უძღვნეს ვეტერანებმა და მოწვეულმა სტუმრებმა.

ვეტერანთა აზრით...

ორი აზრი არ არსებობს, რომ ომის ვეტერანების, ქარტეხილგამოვლილი ამ ხალხის პატივისცემა გვმართებს, ომი ომია და ისინი სიცოცხლის ფასად მიდიოდნენ სისხლიან გზებზე, ასეთი იყო მოვალეობა. არ ავინ უწყოდა, დაბრუნდებოდა თუ არა შინ და აკი ვერც დაბრუნდა ბევრი.

დაბრუნებულთ ერთხელ კიდევ ვულოცავთ 9 მაისს, ღმერთმა მხნეობა მისცეთ. ჩვენ არაერთხელ მიგვიძღვნია მათთვის თბილი სტრიქონები. დაგვიწერია განვლილ საბრძოლო გზებზე.

დღეს ასეთი კითხვით მივმართეთ ომის ვეტერანებს—თქვენ ბევრი რამ გინახავთ, საკუთარ მხრებზე გადაგიტანიათ, ცხოვრებამ კატაკლიზმებით გატარათ. და მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის და ჩვენი მკითხველისთვის თქვენი აზრი: როგორ უყურებთ დღევანდელ საქართველოს, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და თუნდაც სტაბილიზაციის აღდგენას, ქვეყნის ხვალინდელ დღეს.

გეროგტი თუთისანი:

აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა, ეს მსოფლიო პროცესია, ვიტყვი, რომ ჩვენ დიდი ნგრევა და ქაოსი შეგვეძლო აგვეცილებინა, რომ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა შეგვენარჩუნებინა. ჩემის აზრით, ასეთმა დამოკიდებულებამ, მერე ჩვენმა დამღუპველმა შინაღალატმა დაგვაკარგვინა აფხაზეთი, აღარაფერს ვამბობ ე. წ. სამხრეთ ოსეთზე.

დღეს აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნება მეეჭვება, იარაღით შესვლაც არ იქნება სწორი, ეს ძმათა კიდევ ახალ სისხლისღვრას გამოიწვევს და ესეც არ იყოს, ვერ შეძლებთ—ჩვენ არა გვყავს არმია, არ გვაქვს დისციპლინა.

როგორ ვუყურებ საქართველოს ხვალინდელ დღეს? ბევრი უარესი წინააღმდეგობის დაძლევის მაგალითები იცის ისტორიამ. დრო თავისას იზამს და წესრიგი დამყარდება, აფხაზეთსაც შემოვიერთებთ, მაგრამ ამ პარლამენტმა თუ ასე იმუშავა. (არ გვიჩვენებდნენ მაინც), არაფერი გვეშველება. გვეშველება მაშინ, თუ საქართველოსთვის ვიფიქრებთ და არა ისე, რომ ჩემი შემცვლელი არ არსო ვინმე.

ვიქტორ ჩიკვაიძე:

ახალს ვერაფერს გეტყვით. ახლა მე კი არა, პოლიტიკოსები ვერ პოულობენ მდგომარეობიდან გამოსავალს. ფაქტი ერთია—ჩვენ ნორმალურ ქვეყანაში ვცხოვრობდით, ნორმალური ხელმძღვანელი გვყავდა, ის კაცი გენიოსი იყო, 37 წელზე ბევრს ლაპარაკობენ, სტალინს აბლებენ, სტალინმა ბევრი თავად გადაარჩინა და თუ ვინმე უდანაშაულოდ შეეწირა იმ წლებს, ისიც ადგილობრივი ღალატით.

მეც მომისმენია, გაყიდულიაო საქართველო. ძნელია რამის თქმა, მაგრამ ერთი უდავოა, ჩვენ აფხაზეთის კონფლიქტში ბევრი შეცდომა დავუშვით, აფხაზეთის მოსახლეობას იმის მაგიერ, რომ იარაღი მ[illegible] გვეცა, ხელი შეგვეწყო, აქით ვერეკებოდით, როცა მთელი საქართველო იქ უნდა ყოფილიყო. აფხაზეთში რომ ახალგაზრდობა ჩაიხოცა, ვის კისერზეა ეს უდიდესი ცოდვა. ეს არ იყო ომი, ჩვენ ომი ვიცით და მისი კანონები, ეს იყო უმოწყალო, უმიზნო ხოცვა—ჟლეტა.

ჩვენ გვეშველება, თუ ხელი ხელს მივცემთ. ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ. სკამი ერთია, ძვირფასებო. სახელმწიფოს მეთაურს კი არ ვაუგებ, მაგრამ თავის პრინციპი უნდა ჰქონდეს. კანონი უნდა ჰქონდეს. ქრდობა, ყაჩაღობა, ბანდიტობა საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს და, მაშინ გვეშველება.

ძნელი იყო გზა გამარჯვებამდე

მე შევხვედრივარ მას ჭირში, როგორც მეჭირისუფლეს, ლხინში კარგ თამადასა მომლხენს, შრომაში გონიერ ბრიგადირსა და მეურნეს, ოჯახში ნაღდ და თბილ მასპინძელს.

ახლა წლები აწევს მხრებზე, რვა ათეული წელი, ავადმყოფობაც შემოეპარა (უთუოდ ომის ჭრილობები ახსენებენ თავს.) მაგ[illegible] მაინც გულიანი მოსაუბრეა და გულიანი მასპინძელი.

ყმაწვილკაცი იყო ომი[illegible] რომ დაიწყო. კუთხის ბიჭები ერთი—მეორის მიყოლებით გაიკრიფნენ ფრონტზე, გრიგოლ სილაგაძეც გამოემშვიდობა ცოლ—შვილს, ოჯახს და მძიმე გზას გაუდგა. ამ გზაზე სახელოვნად იარა, არც ჭრილობა დაკლებია, არც შიში, არც შიმშილი, არც სიცივე, მაგრამ ბოლომდე შეინარჩუნა ვაჟკაცობა და ამტანობა.

იგონებს: სანგარში ჩასაფრებული ჯარისკაცები მძიმე ფიქრს მივცემოდით. ძლიერი იყო მტერი, ორგანიზებული, წინ მოიწევდა. უმაღლესი მთავარსარდალი მოდისო, ქუხილ—ელვით გადაუარა ხმამ სანგრებს, ზეწამოვიყარეთ, მართლაც მოიარა დივიზიები მთავარსარდალმა. ფრონტის პირობები იკითხა, გამოგველაპარაკა, მოგვიწოდა და... და გავხელდით ბიჭები, ვერაფერი გვაოკებდა.

ომის დასასრულამდე იბრძოდა ქვედაცაგერელი გრიგოლ სილაგაძე. ვალმოხდილი დაბრუნდა შინ დიდი სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით, მედლებით. და სიხარულით აივსო ოჯახი, ქალ—ვაჟს ოთხი და—ძმა კიდევ მიემატა, ბარაქა სიხარული იდგა ყოველ კუთხე—კუნჭულში.

შვილებსა და შვილიშვილებში ჩამჯდარი გულით რომ ხარობდა, მაშინ უცუხთლა ბედმა. უფროსი ქალიშვილი გამოეცალა ოჯახს.

დიდი შინაგანი ტკივილის მიუხედავად მხნეობას ინარჩუნებს.

ღმერთმა მხნეობა და სიცოცხლე მისცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები და მისი შედეგები თითოეული მოქალაქის გულისწყრომას იწვევს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანთა გარკვეული ნაწილისთვის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პირობები ვერ გახდა მნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენი ქალაქის ქუჩებში, განსაკუთრებით რუსთაველის ქუჩაზე, არა მარტო მძღოლები, ქვეითად მოსიარულენიც არღვევენ მოძრაობის წესებს, დგანან ან დადიან ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, არ ერიდებიან ავტომანქანებს, არ ითვალისწინებენ, რომ ამ დარღვევებს შეიძლება მოჰყვეს სავალალო შედეგი.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ავტოსაგზაო შემთხვევები, განუხრელად უნდა დავიცვათ მოძრაობის წესები, როგორც პირადი, ასევე საზოგადოებრივი სარგებლობის ავტომანქანები საექსპლოატაციოდ გამოვიყენოთ მხოლოდ ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, მძღოლი, პროფესიონალი იქნება ის თუ მოყვარული, საჭეს ნასვამ მდგომარეობაში არ უნდა მიუჯდეს, არ გადააჭარბოს სიჩქარეს, ყურადღება მიაქციოს საგზაო მოძრაობის მარეგულირებელ ნიშნებს, დაიცვას გზებზე მოძრაობის დადგენილი წესები.

ავტოსაგზაო შემთხვევების უმრავლესობა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების მიერ ავტომანქანების მართვის შედეგია. ვინც საჭეს მართავს, მისთვის სპირტიანი სასმელების მცირე რაოდენობის მიღებაც კი საბედისწეროა. მთვრალისგან საჭის მართვა გარდაუვალი ავარიაა. არიან მძღოლები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს ღვინისა და საჭის შეუთავსებლობა. საგზაო პოლიციის სამსახურის მუშაკების მიერ ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანების მართვისათვის უკანასკნელ პერიოდში გამოვლენილი იქნენ: 1 თებერვალს ნასვამ მდგომარეობაში მართავდა თავის კუთვნილ ავტომანქანას სოფელ ქულბაქში მცხოვრები რომან კაკოს ძე ბრეგვაძე, 3 თებერვალს თავის კუთვნილ ავტომანქანას სოფელ ქორენიშში მცხოვრები ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ასათიანი, 18 თებერვალს თავის კუთვნილ ავტომანქანას სოფელ ქულბაქში მცხოვრები დანიელ ერმილეს ძე სვანიძე, რომლებსაც ჩამოერთვათ მართვის უფლება სამ—სამი წლის ვადით.

არანაკლები დარღვევაა გზატკეცილებზე სხვადასხვა მიზეზით ავარიული მდგომარეობის შექმნა. რისთვისაც რამდენიმე გამოვლენილ მძღოლს, კერძოდ, ქ. ცაგერში მცხოვრებ მ. ბერიძეს, სოფელ ჭალისთავში მცხოვრებ ბ. მ. სალინაძეს, სოფელ წიფერჩში მცხოვრებ მ. გ. ხეცურიანს ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება სამ—სამი თვის ვადით.

სადღეისოდ რესპუბლიკა ტრანსპორტით მომსახურების სფეროში სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელი ორგანიზაციები თუ კერძო პირები არ ასრულებენ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის მარტის დადგენილებას რესპუბლიკაში სატრანსპორტო მომსახურების რეგულირების და ლიცენზირების დროებითი დებულების მოთხოვნებს, რისთვისაც ამ დარღვევებზე გამოვლენილ იქნენ სოფელ ოყურეშში მცხოვრები გალაქტიონ დავითის ძე გოჯელიძე, ქ. ცაგერში მცხოვრები გელა ბუღ[illegible] ძე ომანაძე, კურორტ «ლაშიჭალის» მძღოლი ავთანდილ ევგენის ძე სილაგაძე, ქვედა ცაგერელი მურთაზ ინდიკოს ძე გულბანი, მახაშელი მიხეილ გრიგოლის ძე გასვიანი, უცხერელი ელდარი ათანასეს ძე ნემსწვერიძე, ბარდნალელი რამაზ როლანდის ძე გელენიძე, რომელთა საბუთები გადაგზავნილი იქნა რაიონის საგადასახადო ინსპექციაში.

შევახსენებთ, რაიონის გზებზე ტრანსპორტით მოძრავ ყველა მძღოლს, რომ მოძრაობის წესების დამრღვევები დაუსჯელნი არ დარჩებიან.

რ. სალინაძე,

ცაგერის რაიონის პოლიციის უფროსი საგზაო პოლიციელი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი.

ჯვარი პატიოსანი

როგორ მოვიქცეთ ეკლესიაში

ეკლესიაში შესვლისას მამაკაცმა ქუდი უნდა მოიხადოს, ხოლო ქალმა თავზე თავშალი ან თავსაფარი მოიხვიოს. ამასთან ქალებს უნდა ახსოვდეთ, რომ აქ ძილებული არ არის შარვლითა და სხვა მისთანებით გამოჩენა. ეკლესიაში გამორიცხულია დემონსტრაციულობა. ხალხი ღმერთთან მოვიდა და არა ჩაცმულობით ერთმანეთის გასაოცებლად.

საყდარში შესვლისას უნდა შეჩერდეთ, პირჯვარი გადაიწეროთ, თავი დახაროთ იქითკენ, საითაც საკურთხეველია და დადგეთ მის ახლოს თავისუფალ ადგილზე, რათა კარგად მოისმინოთ ლოცვა—ქადაგებანი. აქ შემთხვევით მოხვედრილი ხალხი მოკრძალებით უნდა მოიქცეს, და დგეს განზე, რომ გასასვლელი არ გადაუღობოს მორწმუნეთ, ეკლესიის მსახურთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეკლესიაში ისე სიარული, როგორც მუზეუმსა და საგამოფენო დარბაზში, განსაკუთრებით რიტუალის დროს. გახსოვდეთ, რომ ტაძარი ღვთისაა და აქ ხალხი განსაკუთრებული მიზნით მოდის— ლოცვის საშუალებით ღმერთთან ურთიერთობა დაამყაროს.

პატივი ეცით მორწმუნეთა გრძნობებს.

გილოცავთ

ელისო გოლეთიანს, სოზარ ო[illegible]
გილოცავთ ბედნიერებას, ღირსი იყოს თქვენი მეუღლე.
ზვიად გზოგავა, ტარიელ ქლიბაძე ოჯახებით.

ნანა ლეთოდიანს, გია ახვლედიანს
გილოცავთ ვაჟის შეძენას, და მუდამ გვახარებდეთ ასე.
ტარიელ ქლიბაძე, ზვიად გზოგავა ოჯახებით.

ნატო მიქაძეს, ჯონდო ბაკურაძეს
გილოცავთ ვაჟის შეძენას, გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
ტარიელ ქლიბაძე ოჯახით.

ნატო მურცხვალაძეს, კოტე ხვადაგიანს
მაისის ვარდივით ყვაოდეს დიდ სიყვარულზე დაფუძნებული თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი, სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეთ... კიდევ უფრო ემძლავროს თქვენში განთავსებულ ქართველთა, ლატაკთა, ობოლთა და უპოვართა თანადგომის ძალას, ვერაფერს დაეთრგუნოს თქვენი ძლიერი და სპეტაკი სული, იცოცხლეთ, იმრავლეთ და იხარეთ ოჯახისა და კეთილმოსურნეთა იმედად, გწყალობდეთ და გფარავდეთ ღმერთი.
თბილისი. თათო დაშნიანი.

გრიგოლ დავითის ძე სალინაძეს
მამა! გილოცავთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებთ შენს საყვარელ დიდ ოჯახში.
შვილები და შვილიშვილები.

ლელა ყურაშვილს, ლევან ჩიქოვანს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
რაისაავადმყოფოს ლაბორატორიის თანამშრომლები.

ნაილი გუგავას, დათო სვანიძეს
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებას და ულევ სიხარულს.
ჯონი მეგრელი ოჯახით.

ნატო ასლანიკაშვილი თანაუგრძნობს ლია, ლალი გიორგელიძეებს
ნადია ყურაშვილი—მახაროგლიძის
გარდაცვალების გამო.

მერაბ სალინაძე, ბორის მაგარდაშვილი, დემურ გოგიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მერი, ჯამალ სალინაძეებს
ელგუჯას
გარდაცვალების გამო.

ნუგზარ გახსოლიანი, ჯუმბერ ბენდელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ციცინო, ოლეგ გიორგობიანებს ბიძის
ბიჭიკო ფანჯარაძის
გარდაცვალების გამო.

კოლმეურნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა და ელგუჯა ბენდელიანებს მამიდის
თამარის
გარდაცვალების გამო.

განრო, ჯონი, ბაჩუკი ყვირილიანები, ბადრი კილაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ იამზე, მერაბ ყვირილიანებს დედის
ნუნუ კოპალიანის
გარდაცვალების გამო.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს იზა კოპალიანს დედის
ნუნუ კოპალიანის
გარდაცვალების გამო.

ნუგზარ, ემზარ, ზურაბ, რევაზ ჩიქოვანები ოჯახებით თანაუგრძნობენ მირისუფალს
ბაბი კოპალიანის
გარდაცვალების გამო.

შოთა, დავით კოპალიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ზურმან ბენდელიანს მამიდის
თამარის
გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის ლვირიშის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლია ფუტკარაძეს სიძის
სოსოს
და ზურამ ფრუიძეს სიმამრის
ბესარიონის
გარდაცვალების გამო.

ზურამ ტვილდიანი ოჯახით თანაუგრძნობს მირისუფალს
ცოცო მახაროვლიძის
გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1966 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ თამაზ ლურჯუმალიძეს დედის
ბაბუცა მდივნის
და მურმან კოპალიანს დედის
ნუნუ ჩარკვიანის
გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1966 წლის კურსდამთავრებულები ლედი ყურაშვილი, ნუნუ ჩაკვეტაძე, ციცო ჩხეტიანი, ლალი ლარცულიანი, დავარ ლიპარტელიანი, ინგა ჩხეიძე, ნორა ფრუიძე, მანანა ბენდელიანი, ლედი დევდარიანი, ფატი ხეცურიანი, მაგული გოლეთიანი, კარლო მუშკუდიანი, ემზარ მდივანი, ილარიონ ასათიანი, ტარიელ დავითულიანი, ჯაბულ თვარაძე, ევლოგ ჩხეიძე, ჟანვერ სვანიძე და კლასის ხელმძღვანელი დოდო ნემსწვერიძე იუწყებიან თანაკლასელის
ელგუჯა შარდენის ძე გუგავას
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონი: 23—31.

ცაგერის რაიონული სტამბა